# სახალხო გაზეთი

№ 1040 კვირა, 10 ნოემბერი 1913 წ. № 040

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., ქვანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილიდგან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომლებიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ ხუაქრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოლდანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთ 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად ძოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წლიურადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა



## სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა
## „რექტიფიკატ“ (დ. ზ. სარაჯიშვილის ფირმით მოვაჭრე)

ურჩევს იყიდონ ახლად გამოსული არაყი სახელით: „რექტიფიკატ“, რომელიც დამზადებულია პურის გაწმენდილ სპირტისაგან, საკუთესო ლირსებისა და საგანგებოდ გაწმენდილია. ეს არაყი იყიდება ყველგან. 1522

დღეს, 10 ნოემბერს, კალოუბნის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქმნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი

**რევაზ ყარამანის ძის ყანჩელის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ **მარიამ ყარამანის ასული იაშვილისა, ნიკოლოზ ყარამანის ძე ყანჩელი და სეით ლუარსაბის ძე იაშვილი,** დასაწყისი წირვისა $9\frac{1}{2}$ საათზე. 796

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** წარმოდგენა 19—8.

კვირას, 10 ნოემბერს, ქართულ დრამატიულ საზოგად. დასის მიერ **ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით** წარმოდგენილი იქნება:

**პირველად ქართულ სცენაზე** ახალი ორიგინალური პიესა

**ზნაგაის**

პიესა 4 მოქმედ. ნ. შიუკაშვილისა.

მონაწილ. მიიღებენ: ქ-ნნი ასათიანი, დავითაშვილი, თორიძე, მამულაშვილი, მდივანი, პიერლტა, საღარაძე, კოდალაშვილი, ქიქოძე, შოთაძე, ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილი; ბ-ნნი: ალექსი-მესხიშვილი, არადელი-იმხნელი, ბარველი, გოშელაური, გუნია, ვარვარიძე, ზარდალიშვილი, თარალაშვილი, თუხარელი, იმედაშვილი, მესხი, სარაული, საფაროვი, ურუშაძე, ხონელი, ციციშვილი, შანშიაშვილი, შალიკაშვილი.

რეჟისორი **ვლ. ალექსი-მესხიშვილი.**

**ანონსი:** მზადდება წარმოსად.: სინათლე, ვაი ჭკუისაგან, დამარხებული რომი და სხვა.

ხუთშაბათს, 14 ნოემბერს, ბენეფისი ტ. აბაშიძისა წარმოდგენილი იქნება „ვაი ჭკუისაგან“, გრიბოედოვისა, თარგ. ჭანტურიასი. ქართ. დრამ. საზ.

**დასაწყ. სწორედ საღამოს 8 ს.** ✦ ადგილების ფასი **ჩვეულებრივია.** 1576

**ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი**

**ორშაბათს, 11 ნოემბერს** ქართული სახ. დრამ. ჯგუფის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება მეორედ

**ტაიფუნი**, დრამა 4 მოქმ. მ. ლენგიელისა.

მონაწ. მიიღებენ ქ-ნნი. ს. ანჯაფა, ნ. ბადრიძე, ელ. კალანდაძისა, ბარველი, მ. გოგოლაშვილი, ნ. გამრეკელი-კორელი, გოდერძი, კახელი, მ. მდივანი, ტანელი, თ. ნარაკიძე, მ. რომანიშვილისა, თ ყორიშვილი თ ყიფშიძე, ელ. ციმაკურიძე; ბ-ნნი: გ. ანაშვილი, ადამია, ს. არშაკუნი, ნ. გოცირიძე, ის. ვარაზაშვილი, ივ. მინდიაშვილი, მაისურაძე, ალ. მეტრეველი, კ. ნ. ნიძე, ლ. თუხარელი, თვალჭრელიძე, ამბ. ივერელი, ალ. იმედაშვილი, ა. კავსაძე, კ. კიკაბიძე, ვ. რატიშვილი, ს. რომანიშვილი, ილ. სტურუა, ლ. სამადაშვილი, ს. ტარუაშვილი, ტოგონიძე, ალ. წუწუნავა, მ. ჭიაურელი, ნ. ჭანკვეტაძე, მ. ჭუმბურელი.

ადგილების ფასი 5—50 კ. ✦ **დასაწყ. სად. 8 ს.**

რეჟისორი **ალ. წუწუნავა.** თანაშ. **ჭან ვეტაძე.** „წრის“ ადმინისტრაციის აწევის შემდეგ თეატრის დარბაზში შესვლა აკრძალულია.

შემდეგი წარმოდგენა 19 ნოემბერს, „რევიზორი“ 1486



**პირველ-ხარისხოვანი**

**დიდი ცირკი**

**ძმ. ესიკოვსკებისა**

მიხეილის პროსპ., მუშტაიდ. შესავალთან, ნ. კუნდუროვის ადგილზე

**დღეს, 10 ნოემბერს, 1913 წ. გაიმართება**

**2 დიდი საგასტროლო წარმოდგენა.**

მე-21 დღე გამოჩენილ ფალავანთა ფრანგულ **ჭიდაობისა.**

**დღისით ფასი 5 კაპ.**

**მეთრე დებიუტი გიმნასტები დების პეტერსონისა და ჟონგლიორ ხემიონისა.**

დღეს ჭიდაობენ: ზანგი ტომ ჰაიერი და ზოლევსკი; ივ. კაინი და მასკა, გადამწყვეტი ჭიდაობა მაისურაძე და მეხანურს უკანასკნელი თხოვნით; ჟან სებასტიე და ბერნარდი.

795 დირექცია **ძმ. ესიკოვსკებისა**

## რ. ა. პორტუგალოვისა

აუწყებს, რომ საფაბრიკო მაღაზიაში, რომელიც იმყოფება ნიკოლოზის ხიდთან № 23—24,

**მიღებულია ახალი საქონელი.**

სეზონის შემდეგ გადარჩენილი საქონელი ძლიერ იაფ ფასებში. იყიდება საფაბრიკო ფასების 30% დაკლებით. დარწმუნებულნი ვართ, საქარხნო მაღაზიაში მყიდველნი კმაყოფილნი დარჩებიან. აქვე შეიძლება შეკვეთა.

**მიღებულია დიდი წყება დამზადებული ტანისამოსისა.**

**მამაკაცთათვის, ქალებისათვის და ბავშვთათვის. აგრეთვე მამაკაცების „კოსტიუმები“ და ქალების კაბები და კოფთები ცალ-ცალკე.**

1491 პატივისცემით ძ-ნი პორტუგალოვისა.

## ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება:

**წიგნები: ისტორიისა, საეკლესიო და საისტორიო მასალები:**

ქართლის ცხოვრება. მარიამ დედ. ვარ. 3 მ.

საქართველოს ისტორია ბაქრაძისა — 1 მ.

" " ბროსესი, 1-ლი, 70 კ.

" " " II— 70 კ.

ჯანაშვილი მოს. აღდგენა, ანუ „საში ისტორიული კრონიკის და წმ. ნინოს ცხოვრების“ გასაგებ შესასწორ სახელმძღვანელო — — 30 კ.

— ნაშრომი 1-ლი — — 20 „

— " მე-2-ე — — 20 „

— " მე-3-ე — — 20 „

— საქართველოს ისტორია — 1 მ.

— მეფე ერეკლე — — 10 „

— უკვდავთა ლიდიდები — — 10 „

— ფარნაოზიდან გორგიჯანის ძე და მისი შრომანი — — 40 „

— ქართული მწერლობა — — 80 „

ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია — — — 80 „

საქართ. ეკონომიური ისტორია 40 „

საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია — — 15 „

**ახლად მიღებული წიგნები:**

ძველი ქართული სასულიერო პოეზია, პ. ინგოროყვასი — — 2 მან.

გენეალოგია დიდის ალექსანდრე მეფისა ს. კაკაბაძისა — — 30 კ.

**თაყაიშვილი ექვ.** Археологическія экскурсіи, вып. 4 — — 75 კ.

**მ. რანის ლექსი,** პ. მირიანაშვილისა 30 კ.

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ С-ва распр. грам. ср. груз. нас. 1917

## „საგანგებო“

1496


## კავკასიის სამთო გამგეობა

აცხადებს, რომ 1913 წლის 7 დეკემბერს ქ. ქუთაისში

კავკასიის პირველ სამთოოლქის ინჟენერის სტატსკ. სოვეტნიკის

**აბრამ გრიგოლის ძის ცეიტლინის**

თავმჯდომარეობით

# შორაპნის მაზრის შავქვის მრეწველთა მე-XVI მორიგი კრება შესდგება.

**კრება განიხილავს შემდეგს საკითხებს:**

I. კრების მდივნის არჩევა.

II. განხილვა ანგარიშებისა: ა) კრების საბჭოისა, ბ) სარევიზიო კომისიისა, გ) ამიერ კავკას. რკინის გზის ჭიათურის შტოზე ვაგონებისა და „პლატფორმების“ განმანაწილებელ კომიტეტისა.

III. განხილვა სასტატისტიკო ცნობებისა, თუ რამდენად ნაყოფიერია მაღაროები, რამდენი ინახება მადანი რკინის გზების სადგურებზე და რამდენია გატანილი, გადასაზიდავ საშუალებათა და ამიერ კავკასიის რკინის გზის საწყობ ადგილების შესახებ, როგორც ჭიათურის შტოზე, ისე უმთავრეს ლიანდაგზე.

IV. კრების სასარგებლოდ მომატებულ საფუთო გადასახადის შემოღების ვადის დადგენა.

V. მაღაროებში სასმელ წყლების გაყვანა.

VI. მდ. ყვირილის დაცვა შავი ქვის გარეცხით გაბინძურებისაგან.

VII. დ. ჭიათურაში ქიმიურ ლაბორატორიის მოწყობა.

VIII. ქუთაისსა და ჭიათურაში კრების სხვა და სხვა საჭიროებისათვის შენობების აშენება, აგრეთვე ჭიათურაში საზოგადო ბაღის გაშენება.

IX. სად. ჭიათურისა და უმთავრეს გზების განათება.

X. შავი ქვის რაიონების ხევებში მისასვლელი რკინის გზების გაყვანა.

XI. **სარკინისგზო საკითხები:** ა) ნებართვის მიღება, რომ კრებამ ისარგებლოს ამიერ-კავკასიის რკინის გზის ტელეფონებით; ბ) სამგზავრო ვაგონების განათების გაუმჯობესება; გ) პატარა ჭიქოურში მატარებლების შესაჩერებელ ადგილის გაკეთება, დ) სად. შორაპნის გაფართოება, ე) დარკვეთსა და ჭიათურას შორის მეორე ლიანდაგის გაკეთების დაჩქარება, ვ) ჭიათურაში საცალფეხო დაკიდებულ ხიდის გაკეთება, ზ) სად. ჭიათურის არსებულ გზების მოკირწყვლა და წეს-რიგით შენახვა, თ) ჭიათურის საწყობების და გარდი-გარდმო გზების განათება, ი) სადგურებს შორის ტარიფის დაწესება, როგორც მოგზაურობისა, ისე საერთოდ ბარგის გადაზიდვისა, გარდა შავი ქვისა, კ) პირდაპირი ვაგონების რიცხვის გადიდება მატარებლებში: ფოთსა და ტფილისს, ფოთსა და ქუთაისს, ქუთაისსა და ტფილისს, ბათომსა და ქუთაისის სადგურებს შორის, ლ) სადგურებზე მატარებლების შეჩერების დროის შემცირება და მ) სხვა საკითხები, რომელიც ეხება შავი ქვის მადნის გადაზიდვის გაუმჯობესებას.

XII. მოწესრიგება იმ საკითხის, თუ როგორ უნდა მოწესრიგდეს წინა მაღაროების სარგებლობა უკანა მაღაროებიდან მადნის გამოსატანად.

XIII. მაღაროებში შესასვლელების წინ გაკეთებულ გზების საზოგადოებრივად ცნობა იმ პირობით, რომ ეს გზები გადაეცეს კრების საბჭოს შავი ქვის მრეწველობის საჭიროებისათვის.

XIV. შავი ქვის წვრილ მრეწველთათვის სესხის გაცემა სახელმწიფო ბანკიდან.

XV. კრებისთვის მინიჭებულ სესხის ვალების უფლების განხორციელება.

XVI. მუშებისა და მოსამსახურეების დაზღვევა.

XVII. შავი ქვის ფოთის მუშების მდგომარეობის გაუმჯობესობა.

XVIII. კრების დებულების იმ ნაწილის შეცვლა, რომელიც ეხება კრებაზე ხმების განაწილებას.

XIX. მეორე მოსიარულე ექიმის მოწვევა.

XX. კრების საბჭოს მოსამსახურეთა შტატების გადასინჯვა.

XXI. 1914 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.

XXII. თანამდებობის პირთა არჩევნები. 1581.


## საბურთალოზე

**მშვენიერ ალაგას**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიყო 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომი ფასებში.

მსურველნი შეუძლიათ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 4, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. ამასთანავე ვთხოვთ ჩვენს მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 122

## სამკურნალო

**სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა**

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

ოიპა, ყოვ.-დღე 2—3 ს.

**ბელანჟე.** ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—$11\frac{1}{2}$ ს.

**ზოლოტნსკი.** ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.

**ერმოლაევი**—შინაგანი ბავშვებ. ყ.-დღე 1—2 ს.

**ვორობიოვი**—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.

**შამშე,** სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

**გრიგორიანი.** ხირურგ. ავადმყ. ყოველ დღე 11 ნახ.—11 ნახ. საათ.

**ახპიხოვი**—ყურ., ყელ. და ცხვირ. ავად ყ.-დღე 1—3 ს.

**რუდენკო.** შინაგანი ავადმყ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

**ატენიანცი.** ყელისა, ცხვირ., ყურ. და შინაგანი, 2—3 ს.

**ი. ზ. ჩუდნოვსკი.** ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$ საათ.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

**მხიტარიანი.** ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

**ნოვიცკი.** ბებია-ქალი, ყოვ.-დღე 1—2 ს.

**კალამკაროვი.** ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

**ექ. ქალ. იოხელიანი.** ქალური სნეულ ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

**გეინაცი**—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

**ხოდნევი**—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ., 4—5 ს.

**ბაგდოევი**—კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

**სათვალეების არჩევა.**

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძების მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserm an“-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070.

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. გაზაკაძე.** ყოველ დღე, შინაგანავადმყ. $9\frac{1}{2}$ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—$11\frac{1}{2}$ ს.

**ბ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირის გარდა ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—$11\frac{1}{2}$ ს.

**ექ. ქალი იოხელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—$11\frac{1}{2}$ ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**გ. გ. კლდიაშვილი.** ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

**წამლობა „606“-ით** 1462

**ექიმი პ. ლ. ძიძალიშვილი** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს $5\frac{1}{2}$ საათიდან 7 საათამდე. კახეთის ქუჩა № 2, ტელეფონი 15—27. 1502

## ქართული თეატრი

სამშაბათს, 12 ნოემბერს

# დავ. კლდიაშვილი

გამართავს სალიტერატურო-ს. მუსიკო

# საღამოს

I

ა. ჯანელიძე

წაიკითხავს ლექციას

„ეროვნული შემოქმედება"

II

დ. კლდიაშვილი (მოთხრობა).
ჯ. ჯორჯიკია (მინიატურები).
ი. გრიშაშვილი (ლექსები).
დ. აკოფაშვილი (სიმღერა).

III

ქართ. დრ. საზ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება: დავ. კლდიაშვილისავე

# დარისპანის გასაჭირი

სურათი 1 მოქმედებად.

მონაწილეობენ: ბ-ნნი ვალ. გუნია, ვალ. შალიკაშვილი ი. ზარდალიშვილი, ქ-ნნი: ე. ჩერქეზიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, მ. მდივანი, ა. შოთაძე და ა. ახათიანი. დასაწყისი საღამოს 8½ საათზე. ადგილების ფასი ჩვეულებრივი. ბილეთები ამთავითვე იყიდება თეატრის კასაში. 1621

## ავლაბრის სახალხო თეატრი

კვირას, 10 ნოემბერს, ავლაბრის ქართ. სახალ. წარმოდგ. მმართვ. წრის მიერ მსახ. ი. ივანიძისა და ი. ჟივიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ცნობილი ისტორიული პიესა აკაკი წერეთლისა

# პატარა კახი, დრამა 5 მოქმედ.

დასაწყ. საღ 8 ს. ადგილების ფასი 4 50 კ.

1545. რეჟისორი ი. ივანიძე, მორიგი გამგე თ. კიკელიძე.

## ს. ს. ხეთაგურის ბაღოსნობა

მებაღე შეგირდების მიღება.

მეხილეობის პრაქტიკულად შესასწავლად სანერგეში უფასოდ აიყვანენ მოწაფეებად ახალგაზრდებს არა ნაკლებ 15 წლისა, უმთავრესად გლეხის შვილებს, რომელთაც მებაღეობა ეინტერესებათ. სწავლა 2 წელიწადს გასტანს; ამ დროს განმავლობაში შეგირდები პრაქტიკულად შეისწავლიან მებაღეობას, რომელსაც ფირმა აწარმოებს: ხილის მყნობას, ბაღის მოვლას და კონსერვების დამზადებას. გამოცდის შემდეგ, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ სპეციალისტები და სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრნი, ვინც კარგად დაიჭერს ეგზამენს, შესაფერ მოწმობას მიიღებს. მიწერ-მოწერისათვის მიმართვა შეიძლება ამ ადრესით: ტფილისი სანერგე ს. ს. ხეთაგურისა.

Тифлисъ питомники С. С. Хетагури. 1577

## მოითხოვეთ ყველგან

ყოველკვირეული

ჟურნალი

წლიურად 3 მან. ფასი 5 კაპ.

## ზედამხედველი კომიტეტი

მიხეილის სახელობის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ბანკის რწმუნებულთა ამა წლის 4 და 5 ივნისის მორიგი კრების დადგენილების თანახმად, 1913 წლის 24 ნოემბერს, დილის 10 საათზე, ბანკის ბინაზე, ქ. ქუთაისში

დანიშნულია ბ. ბ. რწმუნებულთა

# საგანგებო კრება.

ბანკის წესდების § 89 მუხლის პირველ შენიშვნის ძალით ეს კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი რწმუნებულიც უნდა გამოცხადდეს.

### კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საკითხები:

1. მოხსენება კომისიისა, რომელიც აირჩია ბ.ბ. რწმუნებულების ამა წლის 6 ივნისის კრებამ, მიხეილის სათ.-აზნ. საადგილ მამულო ბანკის მოსამსახურეთა შტატების შესამუშავებლად.

2. ზედამხედველი კომიტეტისა და ბანკის გამგეობის შეერთებულ საკრებულოს მოხსენება, შესახებ ბანკის მოსამსახურეთა დაჯილდოვებისა იმ შემთხვევაში, როდესაც უკანასკნელნი პენსიის დამსახურებამდე ანებებენ თავს ბანკში სამსახურს.

3. ბანკის გამგეობის მოხსენება ფინანსთა მინისტრის მიერ განზრახულ გასამართლიანებელ ბანკის საგირავნო ფურცლების ბირჟაზე გამოსაყიდის სახით, რომლითაც უნდა გაუქმდნენ ტირაჟის სახით. 1586

## ტფილისის კერძო სამკურნალო

ერევნის ქუჩა, ხაჯიევის სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით. ცალკე ნომრები და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

წინასწარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეში მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | მანსვეტაშვილი მ. მ. ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>მაღალაშვილი გ. მ. სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—1 ს.<br>ფედოროვი ე. გ. ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.<br>ექ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა. ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს. |
| ქირურგ. ნაწილები. | მარკევიჩი გ. ლ. კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½.<br>იოლიქიშვილი ნ. ა. ყოველ დღე 10—1.<br>ფირალოვი რ. ა. ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი ვერბიცკი-ფირალოვისა ლ. ყოველ დღე 11—12.<br>თაქთაქიშვილი ი. ი. ყოველ დღე 1—2<br>გელიქიშვილი ნ. გ. ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულ. | ექ.-ქალ. ზაქრაძე-დიდებულისა ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½<br>მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—1<br>ფედოროვი ე. გ. ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ყურის, ყელის და ცხვირის. | ჯავახიშვილი ნ. ნ. სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1.<br>ფონდოევი გ ს. ყოველ დღე 1—2. |
| კანის და ვენ. | ათენიანცი ნ. ა. ყოველ დღე 12½—1½.<br>ორჟემბოვსკი ნ. ს. ყოველ დღე 1½—2. |
| თვალის | მუსხელიშვილი გ. ს. ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½. |
| ნერვ. და სულის ავ. | დიასამიძე ა. ნ. ყოველ დღე 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია, სისხლის გასინჯვა, ათვისებ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ. საწოლი ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით დიდ 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულტაციები, შარდის ბუშტისა და შილების კატეტერიზაცია, „606"-და „914" წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძების შემოწმება და სხვა. შეღავათიანი ხელშეკრულება. 1466



## „ახალი კლუბის" მამასახლისთა საბჭო

აცხადებს კლუბის წევრთა და მუდმივ მოსიარულეთა საყურადღებოდ, რომ უკანასკნელ ვადად 1914 წლისათვის საწევრო ბილეთების განახლებისა დანიშნულია ამა წლის 20 დეკემბერი. ვინც თავის დროზე საწევრო ბილეთებს არ განაახლებს, ჰკარგავს კლუბში უფასოდ შესვლის უფლებას 1914 წლის 1 იანვრიდან.

საწევრო ფულების გადახდა და ბილეთების განახლება შეიძლება კლუბის კანტორაში ყოველ-დღე დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 9 საათიდან ღამის 12 საათამდე. 1585

## ბერლინის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა გ. მეჭრაბიანცი

დაბრუნდა უცხოეთიდან და განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება. სნეულებანი ფილტვებისა—ჭლექი—და გულისა შეთანაბრებული სპეციფიური ტუბერკულინური წამლობა. ხელოვნური პნევმოტორაქსი. რენტგენის ელვასხივური სხივებით ფილტვებისა და გულის გაშუქება.

ყოველ დღე, 9—1 საათ. და საღამოს 5—7 საათ. კვირაობით 9—12 საათ.

9—10 სათ. საწყალებს უფასოდ.

ბებუთოვის ქ. სახ. 23. ტელეფონი 7—92. 1516

ელექტრონის, რენტგენის სინათლის

## სამკურნალო

საწოლი ოთახებით

# მიხეილ გედევანიშვილისა

ნერვებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1468

ღარიბ მოწაფეთა შემწე ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებას

## გამგე კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წლიური საზოგადო კრების გაგრძელება დანიშნულია ხუთშაბათს, 21 ნოემბერს, დილის 11 საათზედ, ქართული გიმნაზიის შენობაში.

## მოსწიეთ ახალი

# პაპიროსები

# რაიკა

10 ცალი 3 კაპ. 20 ცალი 6 კაპ.

ამხ.

# კომეტა.

1497

ქ. გორში (დოქტორანტი).

**ექიმი** მ. დ. წინამძღვრიშვილი ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამების ქუჩა ქალების გიმნაზიის პირდაპირ. 1571

**ექიმი** მეიფარიანი იღებს შინაგანი, ბავშვისა და ვენერიულ ავადმყოფებს. დილის 9—12 ს. და საღამოს 5—7 საათ. ქუთაისი, ტფილისის ქ., საკუთარი სახლი, № 30, ტელეფონი № 150. 1855

**ექიმი** ე. ი. მინასიანცი იღებს ყოველ დღე, შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლევთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ ნაკლულ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე. ლოთობა, ქარები) ელექ. და ლაბორ. პარიზულ კლინიკ. პროფ. Mathieu. იღებს დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. ტფილისი, მიხეილ. ქ. № 86, ტელ. № 576. 1071

**ექიმი** ვ. მ-ძე მანსვეტაშვილი გადავიდა ახალ სახლში. ოლგას ქუჩა, სახ. მელიქ-აზარიანცისა, № 3. შინაგანი, ძარღვების და ბავშების ავადმყოფობათა. იღებს 10—12 დილით, 6—7 საღამოთი ტელეფონი № 16—02. 707

**ექიმი** მღვდელი ს. ა. ლეჟავა მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევ, შაბათ და დღესასწაულების წინა დღეებისა, ნაშუადღევის 4 ს.-დან 7 ს.-მდე. ალექსანდროვის ქ. 41, ტელ. 16—17. 779

დოქტორი

## ი. ი. უკლადნიკოვი

ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობა. მიიღებს კვირა დღის გარდა დილით 9—10 ს. საღამოთი 6—7½ ს. კვირაობით 11—12 საათამდე ოლღას ქ., № 22, ტელეფონი № 12-25. 751

**ექიმი** ი. ი. ბერიშვილი სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კირიჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

**ექიმი** ნ. ნ. ჯავახიშვილი ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 737.

**ექიმი** გ. მუსხელიშვილი მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

**ექიმი** კბილისა ნინო რცხილაძე გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9. იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 სათ. კვირ. ავადმ. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 8. სახ. გაბაშვილისა.

**ექიმი** შ. ა. მიქელაძე 15 ივნისიდან მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 915.

## ექიმთა საზოგადოების სამკურნალო

მუდმივი საწოლებით.

(მიხეილ ს შესახვევი № 49 და რეუტოვის ქუჩის შესახვ № 2. ტელეფ № 1026).

ავადმყოფების მიღება:

აგაჯანოვი მიხეილ — საშარდე, სიფილის. და კანის სნეულ. 11—12 ს.

ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგ., ნერვ. და სულის სნეულ. ელექტროთერაპია, 11—12 ს.-დე.

ელჩიევი მ. რ.—ყურ., ცხვირ. და ყელისა, 12—1 ს.

ელჩიევი ლ. რ.—ქალის სნეულ. და ბებიობ 12—1 ს.

კიმონტი მ. პ.—სადოსტაქრო სნეულებანი 11—12 ს.

მაგაკიანი მ. ნ.—შინაგანი და ბავშვებ. სნეულ. სპეციალურად კუჭისა და ნაწლევ. 1-ნახ.—12-ნახევარ. ს.

სამკურნალოში ჰწამლობენ ელექტრონით, მასაჟი, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა, ძიძების გასინჯვა რჩევის ფასი 1 მ, ოპერაციი კონსულტაციი მორიგებით. სტაციონალური (საავადმყოფო) განყოფილება საერთო პალატისაგან შესდგება.

შეშხაპუნება „914", „606" 1587

დოქტორი მედიცინისა

## გ. ა. ახვერდოვი,

პეტერბურგის სიფილისისა და ვენერიულ ავადმყოფობათა კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს საშარდის, ვენერიულსა და სიფილისიან ავადმყ. დილ. 10—11 ს., საღ. 6—8 ს. სემიონოვის ქ., № 18, (ვორონცოვის ძეგლის მახლობ.), ექიმ. ბინა—სემიონ. ქ., № 16. 1159

**ექიმი** გ. მ. ლოლობერიძე ღებულობს ავადმყოფებს სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით. დილით 1—3 საათამდე. სახებით და ქალის ავადმყოფობანი. სლეპცოვის შესახვევი № 3. 1524


## ტფილისი, 10 ნოემბერი

**კვლავ ერობა.** არამც თუ კავკასიის ადმინისტრაცია, რუსეთის ცენტრალური მთავრობაც კი და მასთან ერთად ნაწილი რუსეთის საზოგადოებისა ხშირად ამბობს, კავკასია მდიდარია ბუნებითაო. გადაავლეთ თვალი ჩვენს ქვეყანას და დარწმუნდებით, რომ, რასაც ამბობენ, მართალია მდიდარია საქართველო. მაგრამ ამ მდიდარსა და ბუნებით უხვად დაჯილდოვებულ ქვეყანაში მეტად ღარიბი ხალხი სცხოვრობს. ხალხს თავის სამშობლოს ბუნებრივ სიმდიდრით ვერ უსარგებლია, ვერ განუვითარებია სასოფლო მეურნეობა ისე, რომ ბუნებამ მისცეს ის, რისი მიცემაც შეუძლიან. ამისთანა პირობებში ყველა, ვინც კი გულ-წრფელად არის დაინტერესებული ქვეყნის ბედ-იღბლით და ვისაც მშიერ-მწყურვალი, ტიტველ-შიშველი ხალხის ხილვა მდიდარ ქვეყნებში ანომალიად მიაჩნია, უსათუოდ შესაფერ ზომებსაც მიიღებს ამ ანომალიის მოსასპობად. მართლაც, როგორ გინდათ გულ-გრილად უცქიროთ ისეთ მ გუმარეობას, როდესაც გარშემო უთვალავ სიმდიდრესა ჰხედავ, ჰხედავ ბუნებას, რომელიც სიმდიდრის დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენს და ხალხს კი ქრონიკული სიმშილით სული ჰხდება? ეს ქრონიკული სიმშილი წლითი-წლობით ანადგურებს ჩვენს ხალხს და ფიზიკურ გადაშენების გზაზე აყენებს. წლითიწლობით მუშაობს ჩვენებური გლეხი კაცი, წელზე ფეხს იდგამს და ძალიან ხშირად კვირაობით ერთხელაც ვერ აღირსება ცხელს საჭმელს. შავი მიწიანი, ტალახიანი პური ან ამაზე არა უკეთეს ლობიოს ქურქელი,—აი, ერთად-ერთი საზრდო ჩვენებურის, განსაკუთრებით კი ქართლის გლეხ-კაცისა! დაუსრულებელი შრომა და ქრონიკული შიმშილი! აი სურათი ჩვენი ცხოვრებისა. განა მარტო ეს უბედურებაა! მალარია მუსრს ავლებს საქართველოს. მალარიის ნიადაგზე ვრცელდება ჭლექი. გაიარეთ სოფლები, ჩააკვირდით გლეხ-კაცებს და მათს ბავშვებს. ყველას ავადმყოფური შეხედულება აქვს. ავადმყოფობა გავრცელებულია, მაგრამ საექიმო დახმარება არსადა სჩანს. არსებული რიცხვი ექიმებისა, რომელნიც ნახევარზე მეტად ადმინისტრატიულ ფუნქციებს ასრულებენ, ისევე დაშორებულნი არიან მცხოვრებლებს, როგორც ამ სტრიქონების დამწერი ჩინეთის ბოგდიხანს. ასეთს პირობებში უხდება ცხოვრება ქართველ ხალხს.

რასა შვრება ამ დროს მთავრობა და კავკასიის უმაღლესი ადმინისტრაცია? ტფილისში ხშირად იმართება ხოლმე სხვა და სხვანაირი კრებები. თითქმის ყველა კრება აღნიშნავს, რომ კავკასიაში ერობის შემოღება აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. აი ეხლაც, მევენახეობისა და მეღვინეების კომიტეტების წარმომადგენელთა თათბირმა კრებების დროს ორჯერ აღიარა საჭიროება კავკასიაში ერობის შემოღებისა. როდესაც კი დაიწყეს ფიქრი კავკასიის მცხოვრებთა პირობების გაუმჯობესებისა, ყველთვის იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ერობის უქონლობა ყოველგვარ საქმის განხორციელებასა და კეთილად დაგვირგვინებას აფერხებს. ერობა ყველა უბედურობათა წამალი არ არის, მაგრამ იგი ცოტაოდენ მაინც დასდებს სოფლის მრავალნაირ ჭრილობას. რუსეთში ერობა მესამოცე წლებში შემოიღეს და მას შემდეგ ამ საზოგადოებრივმა დაწესებულებებმა დიდი კულტურული როლი ითამაშეს სოფლის ცხოვრებაში. ჩვენში კი საერობო გადასახადი ნაწილდება ადგილობრივ ადმინისტრაციის მიერ, რომელმაც არაფერი არ იცის ჩვენი სოფლის მოთხოვნილებებისა და ძალიან ხშირად არცა ჰსურს იცოდეს. იყო დრო, როდესაც ერობის მოთხოვნა ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ პოლიტიკანობად და სეპარატიზმადაც კი იყო აღიარებული. დღეს ოფიციალურად მოწვეული კრებებიც კი აღნიშნავენ, რომ ერობის შემოღება აუცილებელია, რომ უამისოდ სასოფლო მეურნეობის აყვავება და ცოტათი მაინც გაუმჯობესება სოფლის ცხოვრების პირობებისა ყოვლად შეუძლებელია. ერთხანად გრაფი ვორონცოვ-დაშკოვიც ჰპირდებოდა კავკასიას ერობის შემოღებას. გადის დრო და ერობა კი არსადა სჩანს. ამიტომ აუცილებლად საჭიროა რაიმე კონკრეტული ნაბიჯი გადაიდგას ერობის განსახორციელებლად. ამ მხრით დიდი სამსახური შეუძლიან გაუწიონ საქმეს ჩვენმა დეპუტატებმა. საჭიროა ისინი შეითანხმონ, შეიმუშავონ პროექტი საერობო თვით-მმართველობის კანონ-პროექტისა და სახელმწიფო სათათბიროში შეიტანონ.

კავკასია დიდიხანია ელის ამ რეფორმას, კავკასია დიდი ხანია მომწიფდა ძისთვის და ჩვენმა დეპუტატებმაც ყოველი ღონისძიება უნდა იხმარონ, რომ ეხლა მაინც განხორციელდეს ჩვენში ის, რაც რუსეთს მესამოცე წლებში მისცეს.

**საგულისხმიერო შეკითხვა.** როგორც ჩვენი საკუთარი კორესპონდენტის მიერ გამოგზავნილი დეპეშა, ისე სააგენტო ცნობიდან მკითხველი გაიგებს, რომ ქუთაისის გუბერნიის წარმომადგენელს ვარლამ გელოვანს სწრაფი შეკითხვა შეუტანია სათათბიროში იმ უკანონობის შესახებ, რომელიც წელს მოხდა შორაპნის მაზრაში.

გაზეთებში უკვე იყო დაბეჭდილი მოკლე ცნობები ამ მაზრის უფროსის მოქმედების შესახებ, და ჩვენ თავის დროზე შემთხვევა გვქონდა დაწვრილებით გამოგვექვეყნებინა ყველაფერი. ადმინისტრაციის ადგილობრივ აგენტების უკანონო მოქმედება ახალი ამბავი არ არის. იქ, სადაც მცხოვრები მოკლებული იყო და არის მცირეოდენ უფლებებსაც კი, იქ, სადაც მცხოვრები მოკლებული იყო საშუალებას პასუხი მოეთხოვა ამ უკანონო მოქმედების შესახებ, ადმინისტრაციის ადგილობრივ აგენტთა თავისუფალ მოქმედებას ყოველთვის ფართო ასპარეზი ეძლეოდა. მხოლოდ უფლებრივ წესწყობილებას შეუძლიან შეჰქმნას ქეშმარიტი პასუხისმგებლობა ადმინისტრაციის ადგილობრივ აგენტებისა. ამასა ჰგრძნობენ არამც თუ მცხოვრებლები, რომელნიც პირდაპირ თავიანთ ზურგზე განიცდიან ზემოხსენებულ აგენტების უკანონო ექსპერიმენტებს, ამას რამდენადმე ჰგრძნობდა თვით სტოლიპინიც კი, რომელიც იძულებული ჰხდებოდა განსაკუთრებული ცირკულიარებით მოეგონებინა ადგილობრივ აგენტებისთვის მათი მოვალეობა.

ადგილობრივ ადმინისტრაციის მოქმედება ხშირად არის უკანონო, მაგრამ გამოდავებას ვერავინა ჰბედავს, რადგანაც [illegible] არა, დაზარალებული ხომ აუცილებლად ის გამოვა, ვინც ადგილობრივ აგენტების უკანონობას გამოედავება. ასეთს პირობებში დეპუტატებს მეტი საშუალება აქვთ კანტროლი გაუწიოს ადმინისტრაციის მოქმედებას და აი, მართლაც, ჩვენა ვხედავთ, რომ დეპუტატმა გელოვანმა მრავალი ცნობა შეკრიფა ქუთაისის გუბერნიის ადმინისტრაციის უკანონო მოქმედების შესახებ და სათანადო შეკითხვაც შეიტანა სახელმწიფო სათათბიროში. დეპეშათა პეტერბურგის სააგენტო გადმოგვცემს, რომ შიაც გამოიხატება უკანონო მოქმედება ქუთაისის ადმინისტრაციისა: სათათბირომ მიიღო შეკითხვა, სასწრაფოდ აღიარა იგი და ამით რამდენადმე კიდეც დაადასტურა წინდაწინვე, რომ დეპუტატის გელოვანის მიერ შეკრებილი ცნობები უტყუარია და სწრაფი პასუხის გასაცემია.

რა პასუხს გასცემს კავკასიის ადგილობრივი ადმინისტრაცია არ ვიცით, მაგრამ ის კი ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ დეპუტატის გელოვანის მიერ შეტანილი შეკითხვა ცხადჰყოფს, როგორის კულტურულის საშუალებით ვრცელდება ჩვენში პატრიოტიზმი და სიყვარული სახელმწიფოსადმი, და რას განიცდის ჩვენი ცხოვრება კონსტიტუციის მფარველობის ქვეშ.

## სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშათა პეტერბურგის სააგენტო).

**8 ნოემბრის სხდომა.**

**თავ. ვოლკონსკი** თავმჯდომარეობს.

სათათბირო შეუდგა დეპუტატთა ხელშეუხებლობის მოსაზრებათა განხილვას.

**კერენსკი:** დეპუტატთა პასუხისუგებლობა სრულიადაც არ არის პრივილეგია ხალხის წარმომადგენელთათვის. დეპუტატებს საბრძოლველად ერთი ძლიერი იარაღი უჭირავთ—სიტყვის თავისუფლება, თუ ამ თავისუფლების მოსპობას მოინდომებთ, ხალხის წარმომადგენლობაც თავისთავად გაუქმდება. საქმე ის კი არ არის, რომ დეპუტატებს უფლება აქვთ. არამედ ისინი მოვა-

# შემოდგომის დღე

ცამ შეჰკრა წარბი, სევდის ღრუბელმა,
ფრთების ნელ რხევით გადმოიარა,
და სქელი ნისლი შემოდგომისა
ნაღვლიან ზლაზვნით შემოიპარა...

სიტურფის დილამ თალხი ჩაიცვა,
ყვავილს შეაქცნა სათუთი ღიმი,
ხასხასა მოლზე სუსხმა წაშალა
კდომა მოსილი მზისა ციმციმი.
აგერ, ნიავიც ავადმყოფ ქალის
ყვითელ კაბას ჰხდის ქურდულს ფრენით,
ხოლო ბუნება... ბუნება სტირის
შეუშრობელის ცრემლების დენით...
მარტო იქნება ცა მობინდული
და დედა-მიწას თავის იარებს
მხოლოდ ცრემლებით გამოუგზავნის,
მხოლოდ ცრემლებით გაუზიარებს!..

* *
*

შენც მეთხოვები ვით ზაფხულის დღე,
შენც ეფარები ნისლს განუქვრეტელს
და მოსაგონად მიტოვებ მხოლოდ
ოხვრას ცოდვით ვსა და განუწყვეტელს...
მე მარტო ვრჩები, ბედის გრიგალი
უთანამგზავროდ მახეტიალებს,
ცვალებადობის სახე მაცდური
ჩემის ცხოვრების ფსკერზე ტრიალებს—
მაგრამ ვერ შესცვლის ბედი ჩემს გრძნობას,
ვით შემოდგომა ბუნების იერს,—
ვიდრე ჩემს გულში იგაზაფხულებ
და სხივით მომფენ იმედსა ციერს...

ქიზიყი. 13 სექტემბერი.

ს. ფაშალიშვილი.

---

ლენი არიან ისარგებლონ ამ უფლებით. ხალხის წარმომადგენლები მოვალენი არიან თავის ამომრჩევლებს გულახდილად გაუზიარონ თავისი აზრი და შეხედულება. როგორი განმარტებაც არ უნდა გამოსცენ, ვერ შესძლებენ დეპუტატებისთვის თავისუფალი სიტყვის წართმევას. დეპუტატების სიტყვის თავისუფლება დღეს უფრო საჭირო და აუცილებელია, რადგანაც ურთიერთობა მთავრობისა და პარლამენტისა ნორმალურ კალაპოტში არ არის ჩაყენებული. კერენსკი დაწვრილებით არჩევს სენატის განმარტებას და გაკვირვებას გამოსთქვამს: რად მისცეს პასუხის გებაში 34 დეპუტატი ცილისწამებისათვის იმ დროს, როდესაც პურიშკევიჩის საქმე მისპეს. კერენსკი სათათბიროს მოუწოდებს ერთხმად მიიღოს საკანონმდებლო მოსაზრებანი.

**შეინი** ნაციონალისტების სახელით უარჰყოფს საკანონმდებლო მოსაზრებას. დეპუტატებს სიტყვის თავისუფლება ისედაც საკმაოდ აქვთ მინიჭებული.

სათათბირომ საკანონმდებლო მოსაზრება ხმის უმეტესობით სასურველად სცნო. მომხრე იყო 129 დეპუტატი, წინააღმდეგი—63.

სათათბირომ უნდა გადასწყვიტოს, სასურველად სცნობს თუ არა პროგრესისტთა საკანონმდებლო მოსაზრებას, რომელიც ეხება სათათბიროს და საბჭოს სხდომების ანგარიშთა გაზეთებში გამოქვეყნების წეს-რიგს.

ოქტომბრისტები მოითხოვენ მოსაზრება ბეჭდვით სიტყვის კომისიას გადაეცეს.

**ბადმევი და ბურიანოვი** მოსაზრების დაუყოვნებლივ განხილვას მოითხოვენ.

**ეფრემოვი.** მოსაზრებას არავითარი კავშირი არა აქვს ბეჭდვითი სიტყვის კომისიასთან. სათათბირომ ჯერ უნდა აღიაროს, სცნობს თუ არა მოსაზრებას სასურველად, მხოლოდ შემდეგ შეიძლება იმაზე ლაპარაკი, რომელ კომისიას გადაეცეს იგი (ტაში მარცხნივ)

**შინგარევი** ეფრემოვის აზრს ეთანხმება. შეაქვთ ახალი წინადადება: მოსაზრება გადაეცეს ბეჭდვითი სიტყვის კომისიას, თვით კომისია გადასწყვეტს, სასურველია იგი თუ

**ძიუბინსკი.** საკითხი ნათელია, მოსაზრება სრულიად გამორკვეულია. სათათბიროს სხდომის ანგარიშები თავისუფლად უნდა იბეჭდებოდეს გაზეთებში. არც რედაქტორი, არც გამომცემელი და არც სხვა პირი არ უნდა მისცენ გამოძიებაში სათათბიროს სხდომის ანგარიშის დაბეჭდვისთვის, მიუხედავად იმისა, სხდომის ანგარიში სრულიად არის მოყვანილი თუ მარტო ნაწილი; ოღონდ ანგარიში ჭეშმარიტებას შეეფერებოდეს. (მარცხნივ ტაში).

**ეფრემოვი.** დეპუტატის სიტყვის თავისუფლება და რედაქტორის პასუხისგება ამ სიტყვის დაბეჭდვისთვის ერთმანეთის ეწინააღმდეგება. მოსაზრება პრესის უფლებათა დასაცავად კი არ შემოგვაქვს, არამედ პარლამენტის უფლების განსამტკიცებლად. საჭიროა ამომრჩეველსა და დეპუტატებ შორის მტკიცე კავშირი იყოს.

**გრ. ბენიგსენი.** თუმცა მოსაზრების ავტორთ დედა აზრში ვეთანხმები, მაგრამ მისი განხილვა დღეს საჭიროდ არ მიმაჩნია. მთავრობის ბეჭდვითი სიტყვის კანონ პროექტში სწორედ ესევე საკითხი არის აღძრული. გონიერება და დროის დაფასება გვავალებს საკითხი ერთხელ განვიხილოთ და არა ორჯელ. (ტაში ცენტრსა და მარჯვნივ).

**მილიუკოვი.** კადეტები, რასაკვირველია, იმის წინააღმდეგნი არიან, რომ მოსაზრება კომისიაში გადაეცეს წინასწარ განსახილველად; ისინი სავსებით ეთანხმებიან მოსაზრების დედააზრს. ბენიგსენის განზრახვა მილიუკოვისთვის ნათელია: ბენიგსენსა ჰსურს რუსეთი დაიცვას პრესისგან და სათათბიროსაგან (ოპოზიციის ტაში), მილიუკოვს ფრიად აინტერესებს ოქტომბრისტთა შეხედულება ამ მოსაზრებაზე: დღეს ოქტომბრისტთა კონფერენციაზე ლაპარაკი იქნება მათი ტაქტიკის შესახებ; დეე ოქტომბრისტთა უმრავლესობამ გამოსთქვას: ბენიგსენს ეთანხმება, თუ მისი წინააღმდეგია.

წინადადება მოსაზრების კომისიაში გადაცემისა სათათბირომ მიიღო 132 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 108 ხმისა.

**ვარუნ-სეკრეტი.** კითხულობს მოხსენებას ერობათა კრებებისა და კავშირების კანონ-პროექტის თაობაზე. ერობათა მოქმედების ფარგლი მაზრის ან გუბერნიის საზღვრებით განისაზღვრება. საჭიროა ამ ფარგლის გაფართოვება. რადგანაც არსებობს ისეთი საკითხები, რომელნიც ერთნაირად ეხება სხვა და სხვა გუბერნიის ერობებს ვარუნ-სეკრეტი წინადადებას აძლევს მოსაზრება სასურველად სცნონ და გადასცენ განსახილველად თვითმართველობის კომისიაში.

**ადგილობრივ მეურნეობის მთავარ გამგეობის უფროსი.** მთავრობა სრულიად ეთანხმება მოსაზრების ავტორთ, რომ საჭიროა ერობათა კრებების და კავშირების საქმის მოწესრიგება.

შინაგან საქმეთა სამინისტრო საამისო კანონ-პროექტის შემუშავებას იკისრებს.

**ლაშკევიჩი** სიამოვნებით ეგებება მოსაზრებას, თუმცა და სინანულს გამოსთქვამს, რომ ქალაქის თვით მმართველობანი კვლავ დაივიწყეს. წინადადება შეაქვს მოსაზრებაში ქალაქის თვითმართველობანიც იქმნას შეტანილი.

სათათბირომ მომხსენებლის წინადადება ერთხმად მიიღო.

**როძიანკო** თავმჯდომარეობს. სათათბირომ განიხილა რამდენიმე უმნიშვნელო საკითხი. განსახილველია შინაგან საქმეთა და სახალხო განათლების მინისტრებისადმი მიმართული შეკითხვა პეტერბურგის უნივერსიტეტში 28 ოქტომბერს მომხდარ ამბების გამო.

**კერენსკი** შეკითხვას იცავს. სამინისტრომ გააუქმა რა უნივერსიტეტის ავტონომია, ცდილობს სტუდენტთა თვალში დასცეს პროფესორთა ავტორიტეტი, მის ნაცვლად პატივი მოუპოვოს პოლიციას. სამინისტრომ სრულიად უსაბუთოდ 183 სტუდენტს უნივერსიტეტში შესვლის უფლება არ მისცა. ჯერ დღესაც არ არის გამორკვეული, რა დანაშაულობა მიუძღვის ამ სტუდენტებს. 28 ოქტომბერს, როდესაც კოსოროტოვის ლექციის დროს უნივერსიტეტი პოლიციელებით გაავსეს, სტუდენტები მაშინვე მიჰხვდნენ, რომ ექსცესების გამოწვევა ჰსურთ. როდესაც პროფესორმა გამოაცხადა, რომ კოსოროტოვის ლექცია არ შესდგება, აკადემისტ სტუდენტებმა კრება გამართეს და შემდეგ თვითვე გააქციენ პოლიციის თანადგომით. პარლამენტი გულ-გრილად ვერ შეხედავს სასწავლებლებში გახრწნილების შეტანას. როდესაც ახალგაზრდობაში კულტურის და სინათლის ნაცვლად გარყვნილება შეაქვთ, სათათბირომ უნდა დაჰგმოს, ხმა აიმაღლოს და სთქვას: „შორს ხელები! ნებას არ მოგცემთ სამახსოვროდ გახადოთ სასწავლებელი, ნაძირალების ხელში არ ჩავაგდებთ ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობას“.

მარჯვნივ ძლიერი ხმაურობაა. მოლაპარაკის სიტყვები არ ისმის.

**თავმჯდომარე** კერენსკის წესიერებისაკენ მოუწოდებს. შენიშვნას აძლევს ვიშნევსკისაც.

**ნეკრასოვი.** შრომის ჯგუფის შეკითხვას კადეტები მხარს უჭერენ. „აკადემიზმის“ ტერმინმა თავისი მნიშვნელობა დაჰკარგა. აკადემიზმი ძველის მნიშვნელობით პოლიტიკის ანტიტეზს წარმოადგენდა, ეხლა კი უაღრეს პოლიტიკას ჰნიშნავს

უნივერსიტეტებიდან მეცნიერება განდევნილია. მოლაპარაკემ დაჰგმო სამინისტროს მოქმედება; აღნიშნა, რომ მინისტრი ცდილობს უნივერსიტეტში პოლიტიკა შეიტანოს. შემოტანილი შეკითხვა მხოლოდ მცირედი ნაწილია იმ წყევლა-კრულვისა სახალხო განათლების სამინისტროსადმი, რაიც თავს დასტრიალებს რუსეთის კულტურას და მეცნიერებას (ძლიერი ტაში მარცხნივ).

**თავმჯდომარე** ნეკრასოვს შენიშვნას აძლევს.

**ჩხეიძე.** შეკითხვას იცავს. ილაპარაკეს **კუზმინმა და გრ. ბენიგსენმა** მათის აზრით შეკითხვის მიღება საჭიროა, რათა საკითხი ყოველ მხრივ გამოირკვას. შესაძლებელია დამნაშავენი სულ სხვაგან მოიძებნონ და არა იქ, სადაც შეკითხვის ავტორნი ეძებენო.

**ეფრემოვი.** პროგრესისტების სახელით შეკითხვას იცავს.

შეკითხვა ერთხმად მიიღეს.

**გელოვანის შეკითხვა შორაპნის ამბების გამო.** წაიკითხეს გელოვანის სწრაფი შეკითხვა ქუთაისის გუბერნატორის უკანონო მოქმედების გამო, რომელმაც შორაპნის მაზრის მცხოვრებთ სრულიად უკანონოდ გადაახდევინა ფული, უმთავრესად ყაჩაღების შენახვისათვის. შეკითხვა მიმართულია შინაგან საქმეთა მინისტრისა და კავკასიის ნამესტნიკისადმი.

**გელოვანი** შეკითხვის სისწრაფეს იცავს. იგი ამბობს: შორაპნის მაზრის მცხოვრებთ გადაახდევინეს ფული მეფის მოადგილის ნებადაურთველად; სად წავიდა ეს ფული, არავინ იცის. გელოვანი კითხულობს ქუთაისის გუბერნატორის განკარგულებას, რომლითაც იგი მაზრის მცხოვრებთაგან მოითხოვდა 13.000 მანეთის გადახდას ბოროტმოქმედთა მიერ მოკლულ გოქაულ ნემსაძის ოჯახის სასარგებლოდ. ნემსაძის ოჯახმა ამ ფულზე უარი სთქვა. სად წავიდა ეს ფული—ეგეც საიდუმლოებით არის მოცული.

შეკითხვის სისწრაფე და თვით შეკითხვა ერთხმად მიიღეს.

შემდეგი სხდომა დანიშნულია 12 ნოემბრისთვის.

## დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

**სახელმწიფო სათათბიროს წევრმა ვარლამ გელოვანმა სათათბიროში შეკითხვა შეიტანა ქუთაისის ადმინისტრაციის მიერ შორაპნის მაზრაში უკანონო გადასახადების გაწერის შესახებ. შეკითხვა ერთხმად მიიღეს.** (იხილე სააგენტოს დღევანდელი დეპეშა სათათბიროს სხდომის შესახებ.)

## ახალი ამბავი

### ტფილისი

◆ **სტატ. სოვ. თავ. დ. ო. ნიჟარაძე** მეფის მოადგილემ დაამტკიცა ქუთაისის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლად.

◆ **კავკასიის კამისტანიკმა დაამტკიცა** მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლებად: შორაპნისა თავ. ა. ა. წერეთელი, ოზურგეთისა—თავ. კ. დ. ერისთავი, რაჭისა—დ. ი. ჯაფარიძე და სენაკისა—თავ. ნ. წ. დადიანი.

◆ **დღეს მწირველნი არიან:** გორის ეპისკოპოსი ანტონი—სიონის საკათედრო ტაძარში; ბაქოს ეპისკოპოსი გრიგოლი—ქვაშვეთის ეკლესიაში, ერევნის ეპისკოპოსი—ეგზარხოსის კარის ეკლესიაში. წირვის შემდეგ სამივე ეპისკოპოსი ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში პარაკლის გადაიხდის.

◆ **საქართველოს ეგზარხოსი ალექსი** ტფილისს ჩამოვა 16 ნოემბერს, დილის 9 საათზე

◆ **მაზრის წინამძღოლობის თანაშემწეებად დამტკიცებულია:** ქუთაისის მაზრისა—პოდპოლკ. ი. ს. მესხი. შორაპნისა—ა. ა. მაჭავარიანი, ოზურგეთისა—ვ. ს. ხუნდაძე, რაჭაში—ა. ი. კიტიაშვილი, ზუგდიდისა თავ. ნ. კ. დადიანი და სენაკისა—თავ. ი. ე. დადიანი. დეპუტატად დაამტკიცეს: ქუთაისის მაზრისა—თავ. ი. გ. ნიჟარაძე, შორაპნისა—ზ. კ. მაჭავარიანი, ოზურგეთისა—თავ. გ. გ. ნაკაშიძე, რაჭისა ს. ი. მხეიძე, ზუგდიდისა—ე. ხ. ჟვანია და სენაკის გ. ზ. ჩიჩიბაია თავად აზნაურობის მდივნად—დ. გ. მდივანი.

◆ **სახალხო კითხვები** ქართულ ენაზე: ავჭალის აუდიტორიაში ქ. გონიევისა წაიკითხავს „ხემწიფის შვილი და მგელი“.

ექიმთა საზოგადოების დარბაზში გ. ლაშქარაშვილი „კარგი ბავშვები“.

ავლაბრის აუდიტორიაში ქ. ნასიძე: „გალია“.

ნაძალადევის აუდიტორიაში ქ. ბარნაბიშვილი.

◆ **ახალი გაზეთი.** ნ. ი. ყანჩელმა შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე რათა ნება დართოს: გამოსცეს ტფილისში რუსული საორშაბათო გაზეთი ამ სათაურით: „კავკაზსკოე სლოვო“ (კავკასიის სიტყვა)

◆ **ქალაქის სამეურნეო პოლიციის აგენტებისთვის ფორმის ტანისამოსის** პროექტი შეიმუშავეს, რადგანაც მცხოვრებთ ხშირად უნდათ ხოლმე მათთვის მიმართვა, მაგრამ ფორმის უქონლობის გამო ვერ სცნობენ.

◆ **სახალხო უნივერსიტეტის** გამგეობა დღეს, დილის ათ ნახევარ საათზე, სახალხო სახლში ლექციას მართავს საკონცერტო განყოფილებით. ლექციას წაიკითხავს (ქართულად) მ. წულუკიძე შემდეგს თემაზე: „ახალი ლიტერატურა“. შემდეგ გაიმართება საკონცერტო განყოფილება, ფასები: 5-დან 10 კაპეიკამდე.

◆ **ექსკურსია.** 8 ნოემბერს ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის მეოთხე კლასის მოსწავლეებმა სასწავლებლის დირექტორის ი. ა. ბაკუნოვის ხელმძღვანელობით დაწვრილებით დაათვალიერეს ამიერ-კავკასიის რკინის გზის სახელოსნოები.

◆ **შემოსავალი წარმოდგენისა,** რომელიც მეოთხე სავაჟო გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ გაიმართა სახაზინო თეატრში, იყო 1,228 მან. 5 კ., **ხარჯი** იყო 782 მან. (აქაში 600 მ. დასს საოპერო მიეცა). დარჩა წმინდა შემოსავალი 445 მან. 50 კ.

◆ **დიდის მთავრის ქუჩის მოკირწყვლა** 1 დეკემბრისთვის დასრულდება.

◆ **საზოგადო კლუბში** დღეს, საღამოს 8 საათზე, გ. ა. მეფერტი წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „ქალაქი და სკოლა“

◆ **ქალაქის ხარჯთ აღრიცხვის** განხილვის დასასრულებლად და ბალანსის გამოსაყვანად 13 და 14 ნოემბერს ქალაქის საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და სარევიზიო კომისიას შეერთებული კრებები მოხდება.

### საზოგადოებანი და კრებები

◆ **მოუსავლიანობისაგან დაზარალებულთათვის** დახმარების აღმოჩენის საკითხის განსახილველად 12 ნოემბრისთვის კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს საგანგებო კრება არის დანიშნული.

◆ **სახლის პატრონთა და მდგურთა საზოგადოების კრება** დღეისთვის არის დანიშნული.

◆ **კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა მეორე კრების მოლოდინში.** კრების პროგრამა სამის მუხლისაგან შესდგება. პირველი მუხლი შეეხება ხოლერის საწინააღმდეგო ღონისძიებებს, მეორე—შავის ჭირის საწინააღმდეგო ღონისძიებებს, ხოლო მესამე—ქალაქების სასანიტარო გამშვენიერებას. კრების მუშაობის წესრიგი ასეთია: 16 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, ქალაქის საბჭოს დარბაზში კრების მონაწილეთა კერძო თათბირი მოხდება; მეორე დღეს, 17 ნოემბერს სახალხო სახლში პირველი კრება მოხდება. კრება გაიხსნება თავმჯდომარის სიტყვით, რომელსაც მოჰყვება მილოცვები. ამავ კრებაზე აირჩევენ საპატიო თავმჯდომარეს, მის ამხანაგს და მდივნებს. სტუმართა პატივსაცემლად ამ დღეს, საღამოს 8 საათზე, სახალხო სახლში სადღესასწაულო წარმოდგენა გაიმართება. 18 ნოემბერს, დილის 10 საათზე (სახალხო სახლში) მეორე კრება მოხდება, რომელზედაც განხილულ იქნება საკითხები: 1) სამკურნალო დახმარების საქმის დაყენება ქალაქებში და 2) სასანიტარო საქმე ქალაქებში. ნაშუადღევის 2-დან 5 საათამდი ამ დღეს კრების მონაწილენი ქალაქის საავადმყოფოებს დაათვალიერებენ. საღამოს რვა საათზე კი სახალხო სახლშივე მესამე კრება მოხდება, რომელზედაც განხილულ იქნება შემდეგი საკითხები: 1) ქალაქების დაგეგმვა, 2) ბინის საკითხი და 3) გზები და მისვლა-მოსვლის საშუალებანი ქალაქებში. 19 ნოემბერს კრება დილის 10 საათზე დაიწყება და განხილულ იქნება საკითხი ქალაქების წყალით უზრუნველყოფისა და არხების გაყვანის შესახებ. ამ დღეს 2-დან 5 საათამდე კრების მონაწილენი ალექსანდრეს სახელობის საავადმყოფოსა, სასკოლო შენობებსა, საელექტრონო სადგურს და ღარიბთა თავშესაფარს დაათვალიერებენ. საღამოს 8 საათზე მეხუთე კრება მოხდება. კრებაზე განხილულ იქმნება შემდეგ საკითხები: 1) ქალაქების განათება, 2) სურსათ-სანოვაგით უზრუნველყოფა ქალაქების, 3) სასტატისტიკო ცნობები და 4) ღონისძიებანი ქალაქებში ხოლერისა და შავის ჭირის შემოტანის წინააღმდეგ. 20 ნოემბერს, დილის 10 საათზე, კრების მონაწილენი ქალაქის სასაკლაოს დაათვალიერებენ. საღამოს 8 საათზე კი მეექვსე კრება მოხდება, რომელზედაც, სხვათა შორის, აირჩევენ ქალაქს, სადაც შემდეგი კრება უნდა იქნეს მოწვეული. 21 ნოემბერს, ნაშუადღევის 1 საათზე, მეშვიდე კრება მოხდება. ამ დღეს გამოქვეყნდება რეზოლუციები და კრებაც დასრულდება.

კრებაზე, სხვათა შორის, მონაწილეობას მიიღებენ წარმომადგენელნი: ქიათურის შავი ქვის საბჭოს: ივ. გ. (კიტე) აბაშიძე, ექიმი ს. დ. ჯაფარიძე და ინჟენერები: ი. პ. ბურჯანაძე და კ. ნ. საპიცკი; კავკასიის ფარმაცევტთა საზოგადოებისა: ლ. ი. იაკუბოვიჩი და კ. ს. სარქისოვი, მეფის მოადგილის კანცელარიისა: ა. ს. პინიატსკი, შემახის—ქალაქის მოურავი თეიმურ-ბეგ ხუდავერდიევი, ლენქორანისა—ქალაქის ბეითალი ვ. მ. ბოგოიავლენსკი და ანიპისა—ქალაქის მოურავი მ. მ. ლაპარევი.

◆ **ქალაქის საბჭოს** კრება დანიშნულია ორშაბათს, 11 ნოემბერს. კრებას განსახილველი აქვს 21 საქმე, მათ შორის: 1) მოხსენება ხმოსნად ნამყოფ საზოგადო მოღვაწის ა. ნ. ფურცელაძის გარდაცვალების შესახებ, 2) ქალაქის გამგეობის მოხსენება ვერის პარკიდან გატანილ ქვიშის შესახებ (ხმოსან ა. ბაბოვის შეკითხვის გამო) და სხვა.

### სასამართლო

◆ **ბაქო.** 6 ნოემბერს ტფილ. სასამართლო პალატის სესიამ ლოგოდას თავმჯდომარეობით გაარჩია სალიტერატურო საქმე ვლ. ახობაძისა. წელს გაზაფხულზე ტფილისში პატარა წიგნაკის სახით გამოვიდა ლექსები ახობაძისა. ამ წიგნაკის გამო ახობაძე სამართალში მისცეს მე-132 მუხლის პირველი ნაწილი ძალით: მას აბრალებდნენ ლექსებში მთავრობის საწინააღმდეგო აზრების გატარებას და ერთი ერის მეორეზე წინააღმდეგ ამხედრებას. ვლ. ახობაძეს იცავდა ნაფიცი ვექილი პოდშიბიაკინი. ბრალდებულს მიუსაჯეს ოთხი თვით ციხეში დაპატიმრება.

◆ **სალიტერატურო საქმე.** ხვალ, 11 ნოემბერს, ტფ. ოლქის სასამართლო გაარჩევს გაზეთ „კავკაზის“ თანამშრომლის გ. პავლოვის საქმეს. ბ-ნ პავლოვს ქალაქის სამიწისმზომლო განყოფილების გამგე მელიქ-ალახვერდოვი უჩივის, გაზეთით ცილი დამწამა და ბოროტ-მოქმედებათა ჩადენა დამაბრალაო.

## დღიური

### ძალად დარაჯები

ჩემს წინანდელ წერილში ვამბობდი, თუ გაუფრთხილდნენ ზოგიერთი ქალები ცალკე დამოუკიდებელ საზოგადოებას და ქადაგობდნენ და დღესაც ქადაგებენ სხვების მფარველობის და ხელმძღვანელობის ქვეშ ყოფნას, ასეთი მიდრეკილება შემთხვევითი მოვლენა არაა და ამის მიზეზია არა მარტო შიში თვითარსებობისა და თვითმოქმედებისა, მას სათუოა [illegible] ზეზეც — ქართველური [illegible] ადამყოფობა: სხვებისთვის [illegible] ზრუნვა, სხვების ძალად გამოქომაგება და დარაჯობა სხვების ინტერესებისა მაშინ, როდესაც ამ სხვებს ჩვენი დახმარება და პატრონობა ოდნავად არ ესაჭიროებათ.

ქართველს ქალებს თუ ერთის მხრით ეშინიათ თავიანთი საქმეები თვითონ გაწყონ, მეორეს მხრით ისიც აწუხებთ, თუ ისინი არ გაერივნენ საერთოდ კავკასიელ ქალების მუშაობაში, ის უკანასკნელნი გაუჭირდებათ მოქმედება, გაუძნელდებათ შრომა და საცოდავ მდგომარეობაში ჩავარდებიანო. უბედური რუსის და სომხის ქალები მთლად დაიღუპებიან, თუ ქართველმა ქალებმა ზურგი არ გაუმაგრეს, არ გაამხნევეს, არ შეაქეზეს და გზა და კვალი არ გაუმართეს! ამის მიზეზით კავკასია კი არა, შეიძლება მთელი რუსეთი, მთელი ქვეყანა შეირყეს და ვაი უბედურებული დატყდება თავს კაცობრიობას და ჩვენი ქალების გული, როგორ უნდა შეურიგდეს ასეთს საშინელს განსაცდელს!..

შეიძლება მკითხველმა სთქვას: აქ ლოღიკური წინააღმდეგობაა, ერთი აზრი მეორეს არ ეთანხმებაო. სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ აზრების ულოღიკობა არ ნიშნავს, რომ სინამდვილეში არ არსებობდეს ეს აზრები. პირიქით, ძლიერ ხშირად ვხედავთ, რომ [illegible] ამგვარი მოვლენაა. უცნაურია, შეუსაბამოა, მაგრამ ნამდვილი ამბავია, რომ ჩვენებურმა ქალებმა ვერ გაბედეს საკუთარი საზოგადოების დაარსება და მეორეს მხრით განიზრახეს სხვებს უზრუნველონ და გამოექომაგონ.

ზევით მოვიხსენიე, რომ ასეთი შეუსაბამობა ჩვეულებრივი საზოგადო მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში. ალბად ყველას კარგად ახსოვს, რომ სახელმწიფო სათათბიროში ერთმა ქართველმა დეპუტატმა ხმამაღლა საქვეყნოდ დაფიცა, რომ ქართველები თავგამოდებულნი არიან რუსული ენისა და კულტურისათვის, რუსული წერა კითხვა დედა ენისავით გვიყვარს და უერთგულესნი დამცველნი ვართ რუსობისაო. ამ რამდენისამე წლის წინად, როდესაც ჩვენში ერობის შემოღებისათვის თათბირი გაიმართა, ქუთაისის გუბერნიაში ერთი ცნობილი ძველი მოღვაწე გაცხარებით მოითხოვდა, საერობო დებულებაში აუცილებლივ უნდა შეტანილ იქმნას მუხლი გუბერნიის რუსის მცხოვრებთა ინტერესების და უფლების უზრუნველსაყოფადო.

ჩვენში არიან პოლიტიკოსები, რომელნიც საქართველოს ავტონომიისთვის კი არ ფიქრობენ, არამედ ის აწუხებთ: ვაი თუ საქართველოს ავტონომია ეღირსოს და ამ ავტონომიაში რუსები და სომხები დაიჩაგრონო!

წელს შემთხვევა მქონდა დავსწრებოდი ერთს კერძო თათბირს სეზონის რეპერტუარის შესამუშავებლად. როცა ლაპარაკი ჩამოვარდა იმის შესახებ, თუ რომელი ერის ცხოვრების პიესების გადმოთარგმნა ეჯობინებაო, ორმა სამმა წევრმა დაჟინებით მოითხოვა: საპატიო ადგილი უნდა დაეთმოს რუსულს პიესებს, რუსული ცხოვრების და კულტურის გაცნობა—დაახლოვება ჩვენთვის დიდს საჭიროებას შეადგენს და თეატრის მოვალეობაა ხალხის მოთხოვნილებას ემსახუროს, მის „კულტურულ“ გარუსებას ხელი შეუწყოსო.

ჩვენს გაზეთში ჯერეც არ დამთავრებული, გრძელ-გრძელი წერილი გ. გ. ზედგინიძისა და ჯაფარიძისა მათ მიერ შედგენილი რუსული ენის სახელმძღვანელოს კეთილღირსებისა და ძლიერ პედაგოგიურ ღირებულების შესახებ. მე უნებურად მივაქციე ყურადღება ამ წერილის ერთს ადგილს. ავტორები გვიმტკიცებენ: რუსული ენა დედა-ენაზე არა ნაკლებ საჭიროა ჩვენთვის და კარგი რუსულის სახელმძღვანელოს შედგენა დიდს საზოგადო მოღვაწეობად უნდა ჩაგვეთვალოსო.

ტფილისში არსებობს სახალხო უნივერსიტეტი, რომელშიაც ქართველები მოღვაწეობენ და რომელიც მეტწილად რუსული განათლების გავრცელებას ემსახურება. ტფილისში გამოდის ორი რუსული გაზეთი ქართველი ინტელიგენტების ხელმძღვანელობით, რომელიც ვითომც ქართულ საქმეებს იცავს, მა-

გრამ არსებითად ჩვენს გადაგვარებას ემსახურება სხვისი კულტურის განმტკიცებით...

რამდენი ამისთანა მაგალითი შეგვიძლია კიდევ დავესახელებია, მაგრამ ჩამოთვლილიც კმარა. რა სახელი ვუწოდოთ ყველა ამას, რას გამოსახავს და რის მომასწავებელია ესეთი ძალად დარაჯობა და გამოქომაგება სხვების საქმეებისა, როდესაც სხვებს სრულებით არ ესაჭიროებათ ჩვენი შველა, და როდესაც ჩვენი საკუთარი საქმეები მუდამ აწეწილ-დაწეწილია, მოუწყობელი და ყველგან ყველაფერში გათქეცებული შრომა და სიმხნევე გვინდა, რათა თავი დავაღწიოთ ეხლანდელს განსაცდელს? რუსულს ენას, კულტურას, ცხოვრებას, ინტ. რესს განა ჩვენი დახმარება სჭირია, რომ გავრცელდეს ჩვენში, ნიადაგი მოიპოვოს, გაბატონდეს? განა ძლიერს და ძალებით მდიდარს რუსეთს რამედ ულირს ჩვენი შემწეობა, რომ ძალად ვეჩხირებით და ჩვენს შრომას ვაძალებთ, ჩვენს მზრუნველობას ვაჩრით?

ნურავინ იფიქრებს, რომ ამით ჩვენ ჩვენს საკაცობრიო მიდრეკილებას, სხვათა უფლებისადმი პატივისცემას ვამტკიცებდეთ, არა ეს მხოლოდ ჩვენს ნაცარქექიობას ლალადებს. ადამიანები, რომლებიც თავის თავს არა სცემენ პატივს, ვერასდროს ვერ იქნებიან სხვის პატივისმცემელნი. ულური თავისთვის სხვას ვერარას მიანიჭებს!

**სიტყვა.**

## ტფ. ქართულ გიმნაზიასთან არსებული უფასო სასადილო

წელიწადია მას აქეთ, რაც ქართულ გიმნაზიასთან გაიხსნა უფასო სასადილო, ასეთი სასადილოს მოწყობის აზრი ჩვენ პატივცემულ მანდილოსნებში დაიბადა. მათ ყოველი ღონისძიება იხმარეს და თავისი განზრახვა სისრულეში მოიყვანეს. რასაკვირველია, როგორც ყოველი ჩვენი საქმე, უფასო სასადილოც უსასრობის გამო ძლიერ ცუდ მდგომარეობას განიცდიდა. ცოტა იყო წევრი, მცირე იყო შემოწირულება, რომელიც ასულდგმულებს ხოლმე თითქმის ყველა ჩვენ საკულტურო დაწესებულებას, და ამის გამო სასადილოს გამგეობა იძულებული იყო სასადილო ქართულ გიმნაზიის შენობაში მოეწყოთ, ღარიბ მოწაფეთათვის უფასო სადილები განესაზღვრათ.

რამდენიმე დღის წინად კვლავ მოხდა სასადილოს დათვალიერება. სწორედ საუცხოვო შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. სასადილოში მუდამ არის ხოლმე სასადილოს გამგე და გამგეობის მორიგი წევრი. ისინი თვალყურს ადევნებენ საჭმელის კეთებას, სისუფთავეს, საერთოდ წესრიგს. სასადილოსა და სამზარეულოში საუცხოვო სისუფთავეა. სასადილოს მაგიდები გადაკრულია „კლიონკით“, ზედ აწყვია სუფთა თეფშები, დანა-ჩანგლის და პურის კალათები. სადილი უკვე 12 საათისათვის მზად არის: სადილი ერთი კერძია, მაგრამ სრულიად საკმარისია გასაძღომად, გემრიელი და ნოყიერი, ხორცს აძლევენ ნახევარ გირვანქამდე, წვენსა და პურს რამდენსაც მოისურვებენ. კვირაში ერთხელ სამარხვოა, კვირაობით კი—ორი კერძი. გარდა ამისა კომიტეტი შეძლების დაგვარად ეხმარება ღარიბეს მოწაფეებს ტანისამოსითა და სხვათი; ამ ტანისამოსს სწირავენ ხოლმე საზოგადოებას. მაგალითად, შარშან ბ-ნ ბეგთაბეგიშვილის მეუღლეს შეუწირავს ხუთი ხელი ტანისამოსი.

საზოგადოებამ თავიდანვე საერთო ნდობა და სიყვარული დაიმსახურა ქალაქის გამგეობა წლიურად აძლევს ერთდროულ დახმარებას 100 მანეთს, ეხმარება თავად-აზნაურობა და სხვანიც... ამ ჟამად ხელმოხლეჩილი თანხა საზოგადოებასა 4000 მანეთამდე აქვს. მაგრამ სამწუხაროდ ეს თანხა არ ჰყოფნით ყველა მთხოვნელის დასაკმაყოფილებლად. ამ ჟამად სასადილოში 121 ყმაწვილი სადილობს. გამგეობას აქვს მხოლოდ 100 უფასო სადილის თანხა. განსვენებულ არჩილ ჯორჯაძის სახელობის 21 სადილის ფასს კი თვით გამგეობის წევრები იხდიან გამგეობას კიდევ ბევრი ძლიერ ღარიბი ბავშვი რჩება უსადილოდ. სასადილოში მოდიან ისეთნი, რომელნიც ერთი სადილიდან მეორემდე არაფერსა სჭამენ, რადგან არა გააჩნიათრა. საბრალო გოგონები და ბიჭები, რომელნიც წინედ მშივრები იყვნენ, ეხლა ისე გამოკეთდნენ, რომ სასიამოვნოა მათი ნახვა. სკოლის ექიმმა აღნიშნა, რომ წინედ ბავშვებს სტომაქი მოშლილი ჰქონდათ უვარგისი საჭმელის გამო.

ბავშვები საუცხოვოდ იქცევიან: ჩამოდიან წესიერად, მივლენ ხოლმე მორიგ წევრთან, ჩაეწერებიან, შემდეგ ხელს იბანენ და ისე სადილობენ. არის ხოლმე შემთხვევები, როდესაც რომელიმე კლასი შუამდგომლობს კომიტეტის წინაშე, ესა და ეს მოწაფე ძლიერ ღარიბია, გთხოვთ მისცეთ სადილობის ნება. რასაკვირველია, კომიტეტი აკმაყოფილებს მოწაფეების თხოვნას. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა სამწუხაროა ჩვენი კეთილშობილური გრძნობით სავსე მანდილოსანთათვის, როდესაც იძულებულნი ხდებიან ვისმე უარი უთხრან, საჭიროა მეტი თანაგრძნობა საზოგადოებისა, საჭიროა ყოველმა ჩვენგანმა თითო-ოროლა შაური გაიმეტოს, რაც ერთ დღეს გააძღებს ღარიბ ბავშვს. და განა მარტო ფულით შეიძლება შემოწირულების შეტანა? ასეთივე დიდი საქმეა ტანისამოსი, ფეხსაცმელები, სახლეულის მიწოდება.

ამ საყურადღებო საქმის სათავეში უდგას ყველასაგან პატივცემული კნ. მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანისა. კომიტეტის მდივანია კნ. ა. დიასამიძისა, ხაზინადარი—კნ. მ. ერისთავისა. კომიტეტის წევრები: კნ. ნ. ქობულაშვილისა, კნ. ა. ერისთავისა, კნ. ნ. გელოვანისა, კნ. ე. აფხაზისა, კნ. ნ. ორბელიანისა, კნ. ე. ორბელიანისა, კნ. თ. აბაშიძისა, კნ. ნ. ჯორჯაძისა, ვ. ლამბაშიძისა, ვ. დაფქვიაშვილის ასული, ნ. მაკარაშვილისა და მ. ლოლობერიძისა.

კომიტეტის თავმჯდომარემ კნ. მ. ვ. ჯამბაკურ-ორბელიანისამ საუბრის დროს მწუხარება გამოსთქვა, რომ კომიტეტს შეძლება არ აქვს საკუთარი ბინა გაჩინოს და ამ მხრივ დამოუკიდებელი გახდეს.

— ბინის საკითხი ძლიერ გვაფიქრებს; გარდა ამისა, მართალია შემოწირულება ბლომად მოგვდის, საზოგადოების თანაგრძნობა არ გვაკლია, მაგრამ მთხოვნელებაც იმდენია, რომ ყველას ვერ ვაკმაყოფილებთო“.

ეს სიტყვები ისეთის ნაღველით იყო წარმოთქმული, რომ ყველასათვის საკმარისი იქნებოდა იმის დასამტკიცებლად თუ, რა სიყვარულია ჩვენი ქალების გულში იმ საბრალო მოწაფეებისადმი, რომელნიც მათი მეოხებით უზრუნველყოფილნი არიან სადილებით მაინც. ვიმედოვნებთ, რომ ამ პატარსან ჩუმ მუშაკ ქალების საუცხოვო მაგალითსა და ენერგიას სხვებიც მიბაძვენ. დარწმუნებული ვართ შემდეგში ეს პატარად დაწყებული საქმე გაფართოვდება და შესძლებს უმრავლეს მოთხოვნილების დაკმაყოფილებს. ამის თავდებია საქმის სათავეში მდგომ ქალთა საქმისადმი გულწრფელი სიყვარული და ენერგია, ამისვე თავდებია ის თანაგრძნობა, რომელიც ამ საქმემ დაიმსახურა ერთის წლის განმავლობაში.

**სოსო.**

## თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** დღეს, 10 ნოემბერს, ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება დრამატურგის ნ. შიუკაშვილის ახალი ოთხ მოქმედებიანი დრამა „ნაგავი“. ამ პიესის სიუჟეტი ჩვენი ცხოვრებიდან არის აღებული. მონაწილეობას იღებს მთელი დასი.

**კ. დოდაშვილის ლექცია.** დღეს, 10 ნოემბერს, ნაშუადღევის 1 საათზე ზუბალაშვილის სახალხო სახლში ბ-ნ დოდაშვილი ქართულ ენაზე წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: ქართული პოეზია საზოგადოდ და კერძოდ „ვეფხის-ტყაოსნის“ ლექსთაწყობილება, ქართული მესტვირეობა და როგორ კითხულობდნენ თამარდედოფლის დროს და მეჩვიდმეტე საუკუნეში შოთა რუსთაველის უკვდავ პოემას“.

**სახალხო სახლი.** ქართ. სახ. წარმ. მმართვ. წრე 11 ნოემბერს იმეორებს მ. ლენტიელის დრამას „ტაიფუნ“-ს (ქარიშხალი), რომელშიაც გარდა „წრის“ სცენის მოყვარეთა მონაწილეობას მიიღებს მსახიობი **ალ. იმედაშვილი.** ადგილების ფასი 5 კ.—50 კ. ხოლო 19 ნოემბერს დამსახ. მსახ **კ. ყიფიანის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „რევიზორი“.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

**9 ნოემბერი**

**უცხოეთი.**

**ბარსელონა.** სტუდენტთა არეულობის დროს ცხენოსანი ჟანდარმები უნივერსიტეტში ხმლებით შეიჭრნენ და სტუდენტებს დაედევნენ. ბევრი სტუდენტი შეიპყრეს. რამდენიმე სტუდენტი დაჭრილია. ქალაქის იმ ნაწილებში, საცა ამბოხებამ იფეთქა, ჯარი სდგას.

**მექსიკა.** დაიწყო კონგრესის სხდომები. კონგრესის პრეზიდენტმა განაცხადა: კონგრესი ყოველნაირად დაეხმარება ჰუერტას მექსიკის დამოუკიდებლობის დაცვაში.

**ვენა.** გარეშე საქმეთა კომისიის სხდომას ოპოზიციაც დაესწრო. განსახილველია ბერტჰოლდის მოხსენება

**კალკუტა.** პოლიციამ აღმოაჩინა ყუმბარები საკეთებელი იარაღი. შეიპყრეს 5 ბენგალიელი.

**სოფია.** ფინანსთა მინისტრად ნამყოფმა თოდოროვმა ნაციონალისტთა კლუბში სიტყვა წარმოსთქვა; მან მხარი დაუჭირა გეშოვის და დანევის კაბინეტის პოლიტიკას.

**ოქსფორდი.** სუფრაჟისტმა ქალებმა ცეცხლი წაუკიდეს ხის მასალის სადგომს. ზარალი დიდია.

**ლონდონი.** იპსვიჩში ცეცხლის გაჩენის გამო ბრბომ სუფრაჟისტთა ადგილობრივი საკრებულო გაანადგურა.

**ბარსელონა.** ტრამვაის ვაგონი ბავშვს დაეჯახა და მძიმედ დასჭრა. უნივერსიტეტის სტუდენტებმა ქვები დაუშინეს ვაგონს. მალე გაჩნდა პოლიცია. სტუდენტები შეიჭრნენ უნივერსიტეტში და იქიდან პოლიციას სროლითვე უპასუხა. დაიჭრა რამდენიმე პოლიციელი.

**რუსეთი.**

**რიგა,** „პროვოდნიკის“ ქარხანაში გაიფიცა 2.000 მუშა.

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კოკოვცევი ჩამოვიდა.

**მოსკოვი.** გუბერნიის საერობო თვითმმართველობათა თავმჯდომარეების კრება დაიწყო. კრებამ მოწვეულია საერობო თვითმმართველობათა ნახევარ საუკუნის არსებობის აღსანიშნავად.

**პეტერბურგი** (ოფიციალური ცნობა. 23 ოქტომბერი 1913 წ.). რუსეთის ელჩმა პეკინში და ჩინეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა სუნშაოცვიმ ხელი მოაწერეს შემდეგ დეკლარაციას: 1. რუსეთი აღიარებს, რომ გარე მონღოლეთი იმყოფება ჩინეთის სიუზერენიტეტის ქვეშ; 2. ჩინეთი გარე მონღოლეთის ავტონომიას აღიარებს; 3 რადგანაც გარე მონღოლეთის მცხოვრებნი თვითვე განაგებენ შინაურ საქმეებს, ჩინეთი მოვალე არის არ ჩაერიოს მონღოლეთის შინაურ საქმეებში, არ გაგზავნოს მონღოლეთის მიწა-წყალზე თვისი ჯარი და არ გამოიყენოს მონღოლეთი საკოლონიზაციო მიზნისთვის. 4. ჩინეთი მზად არის მიიღოს რუსეთისაგან კეთილი რჩევა და სამსახური მონღოლეთთან ურთიერთობის განმტკიცებისთვის ზემოდ აღნიშნულ მუხლების მიხედვით; 5. ისეთი საკითხები, რომელნიც ერთნაირად ეხებიან რუსეთის და ჩინეთის ინტერესებს, და გამოწვეულნი იქნებიან მონღოლეთის ახალ წესწყობილებით, შემდეგი მოლაპარაკების საგნად უნდა იქნას აღიარებულნი

ხელი უწერია კრუპენსკის და სუნშაოცის“.

რედაქტორი **ნ. კურდღელაშვილი.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**


**გონორრეის (სუსნატის) წინააღმდეგ უახლესი საშუალება:**

**„SALO — პიჩილინ“.**

სწრაფად და არსებითად მოქმედებს და, ექიმთა აზრით, გონივრულ საშუალებად ითვლება. დირიგება კოლოფში ძევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფებითა და ღირს 1 მ. და 1 მ. 80 კ.

**აგრეთვე კარგად მოქმედებს ძეტად გართულებულ და დაძველებულ ავადმყოფობის დროს და სულ მოკლე ხანში სპობს უწყვეტელ მდინარეობას.**

დეპო: Петербургъ, разъѣжая, № 7 аптека Б. Конгейма. იგზავნება ფასდადებით. გასაგზავნი ფოსტის ტარიფის მიხედვით. იშოვება საათფთიაქო საქონლის კავკასიის საზოგადოების საწყობში.

Метцль 2°328. 1038

**გალოსნოვა ძმ. ავსარქისოვებისა,**

(ხადგ. ხკრაში, კავკ. რკ. გზა).

ჰგზავნის **ხეხილის ნერგებს** საზღვარგარეთულს, რუსულს, ადგილობრივ საუკეთესო ჯიშისას და საწალკოტო (დეკორატიული) ხეებსა და მცენარეებს ხელმისაწვდომ ფასად. მსურველთ კატალოგები უფასოდ ეგზავნებათ. მისამართი: Ст. Скра, (З. Ж. Д.) Авсаркисову. 633

**მუხრანის ქუჩაზე, სადაც წინად „კავკაზ“ ნომრები იყო, გაიღო**

**სასტუმრო ნომრები**

შენობა ახლად შეკეთებულია და განათებულია ელექტრონით. ავეჯეული სულ ახალია. ნომერი ღირს: 60 კ.—დან 1 მანეთამდე. **თვიურებს დიდი შეღავათი.** 1552




**ქ-ნ სორეტის სალონი კორსეტებისა**

დაკვეთილს ასრულებენ პარიზის უკანასკნელ ჟურნალების მიხედვით. აკეთებენ სპეციალურად ბავშვებისათვის წელის გასამართავებს.

მუზეუმის შესახვევი, № 1, ჩრდილოეთის სასტუმროს გვერდით (Се-вѣрные номера), სასახლის პირდაპირ. 797.

**სტუდენტი ფილოლოგი**

გამოცდილი რეპეტიტორი—ამზადებს მოწაფეებს საშუალო და დაბალ სასწავლებლებისთვის.

პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 საათ. წერილობით მისამართი: პრიუტის ქ. № 8, ბინა 1, სტუდენტს. 1582

**სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა**

**გადავიდა** საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლო!, ვორონცოვის შესახვევი № 8. მიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, სამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

**აბანოები თავ. ორბელიანისა:**

**„ცისის აბანო“**

სრულიად შეკეთეს და მოაწყვეს; ვანები, საჯდომები და აუზები მოზაიკით მორთეს. ქალების საერთო დიდი აბანო გაიხსნება პარასკევს, ნოემბრიდან. 791

**ექიმ ნაგაპარიანის პირველი კერძო საავადმყოფო**

(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.**

**დილით:**

**„606“ და „914“**

**11—12 ს. შეშხაპუნება**

**კონსულტაციურად.**

**ბ. ა. ნაგაპარიანი:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. ალაპარიძე:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

**ქ. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ხერხემლისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. სამშობიარო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მოლინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ბვეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **თ. გ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბავშვო და ქალების ავადმყ.

**ქ. დ. გურგენიძე.** 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერიოლოგ. გამოკვლევა; საღამოობით 6—7 საათამდე.

**საღამოთი:**

**მ. გ. ბვეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნაგაპარიანი.** 1006




1523




**— გამოსულია და იყიდება —**

**ნ. შიუკაშვილის**

**პიესა „მეგობრობა“**, დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

მოითხოვეთ ყველგან




მთავარი კანტორა და საწყობი

დიდ ზუბალის ქუჩა № 2 კრედიტის ბანკის სამმართველოს პირდაპირ. ტელეფონი № 14/68. 1512

**მიიღეთ ცივადი-მატარებლით პეტერბურგიდან**

თევზის მრეწველნი **ძმ. ბეგველოვები.**

ამურის წითელი ხიზილალა (კეტოვი) სიგი, დვინის ორაგული, გრუზდი, ბრუსნიკა და სხვ.

**აგრეთვე იყიდება მაილოვის ხიზილალა** კოლოფით და ხმელი სოკო.

პუშკინის ქუჩა, სხვუთ. სახ. № 9. ტელეფონი № 712. 1500

**ცინკოგრაფია** წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

ვოზისა კისრულობს ყოველგვარ **კლიშეების დამზადებას**

**საქმეს ასრულებს დროზე სუფთად და ხელმისაწვდომ ფასად.**

ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12. ✱ Тифлисъ Бол. Ванк. ул. № 12.

1009


ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.